# საერთო გაზეთი

№10 (691-ა)
ოთხშაბათი
29 მარტი 2023წ.
სპეციალური გამოცემა
ფასი 1.50 ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 2022 წლის ფინანსური ანგარიში

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ“

საქართველოს „ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი“

# პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინტერპელაცია საქართველოს პარლამენტში

## ოპოზიციას საქართველოში წარსულის დაბრუნება სურს, რაც არ მოხდება, ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა!



ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა, მათი სურვილი იყო, სააკაშვილი ყოფილიყო ხელისუფლებაში, რომელიც ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ და შეუერთდებოდა უკრაინას და საქართველოს ჩართავდა ომში, იყო არაერთი მცდელობა, ე.წ მეორე ფრონტის გახსნის და საქართველოს ომში ჩაბმის. მე შეგახსენებთ, რომ თვითონ ეს ფრაზა „მეორე ფრონტი“ გაჟღერდა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მხრიდან. ბატონი დანილოვი გამოვიდა, რომელმაც პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათი სურვილი, მიზანი იყო საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. აქვე დაამატა, რომ მათი მიზანი, ამოცანა იყო რუსეთის ყურადღების გადატანა სხვა ქვეყნისადმი, სხვა რეგიონის მისამართით. ისიც აღნიშნა, რომ არა მხოლოდ უკრაინელი ქალები და ბავშვები უნდა იღუპებოდნენ, არამედ, ამ ომის შედეგები უნდა იგრძნოს სხვა ქვეყნებმაც. ეს არის შინაარსი ძალიან მოკლე, ჩემ გამოსვლის, რომელიც ჩვენ ყველამ, მთელმა საზოგადოებამ მოისმინა. ამის შემდეგ ჩვენ კარგად გვახსოვს განცხადებები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების. ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა, მათი სურვილი იყო, სააკაშვილი ყოფილიყო ხელისუფლებაში, რომელიც ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ და შეუერთდებოდა უკრაინას და საქართველოს ჩართავდა ომში. სულ ბოლო გამონათქვამს შეგახსენებთ ბატონი ვანო მერაბიშვილის, რომელიც არის არაფორმალური მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“. მან თქვა ერთ-ერთ უკრაინულ არხზე, რუსულ ენაზე გამოვიდა და საუბრობდა. მან თქვა, რომ მათი მიზანი არის ხელისუფლების დამხობა, შეცვლა და შემდეგ ომის დაწყება რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ის სიტყვები, რომელიც ბატონმა მერაბიშვილმა თქვა საჯაროდ. ეს არის მტკიცებულებები ძვირფასო მეგობრებო, მე ფაქტებს შეგახსენებთ მხოლოდ“,- სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლების მიერ გაცხადებული მიზანი პირდაპირ კოორდინაციაში, თანხვედრაში მოდის „მეხუთე კოლონის“ მიზნებთან, მათ ზრახვებთან, გეგმებსა და ქმედებასთან. მთავრობის მეთაურის თქმით, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არსებობს შეთქმულება, ე.წ უკრაინიზაციის გეგმა, ე.წ მეორე პოლიგონის გახსნის და მეორე ფრონტის გახსნის გეგმა.

* * *

- ჩვენთვის, საქართველოსთვის, ახალი ომის დაწყება ნიშნავს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას. აბსოლუტურად იდენტურია ჩვენთვის, იმიტომ, რომ ქვეყანა ვერ გაუძლებს ახალ ომს,დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მთავარი გამოწვევა არის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება, მშვიდობის შენარჩუნება.

“ასევე შეგახსენებთ ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრის ე.წ. წამახალისებელ განცხადებებს. მაშინ, როდესაც ძალადობრივი ჯგუფები თავს ესხმოდნენ პოლიციას, ესროდნენ მოლოტოვის კოქტეილებს, ქვებს და ა.შ. ჩვენ გვესმოდა მოწოდებები პირდაპირ ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრისგან, რომ ახლა არის დრო, მათი თქმით, ამ რეჟიმის დამხობის, შეცვლის და ა.შ. ეს გეგმა, რა თქმა უნდა, ჩავარდა და ისევ წააგეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა.

საბოლოო ჯამში, მინდა გითხრათ, რომ მთავარი გამოწვევა ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს, რა თქმა უნდა, არის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება, მშვიდობის შენარჩუნება და რომ არ დავუშვათ რაიმე კონფრონტაცია და ომის გადმოტანა. ეს არის ჩვენი და ჩემი, როგორც პრემიერ-მინისტრის მთავარი ამოცანა, მთავარი საზრუნავი. ამას, მადლობა ღმერთს, წარმატებით ვახერხებთ.

მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, დღეს ჩვენი ქვეყანა არ არის არც ნატოს წევრი, არც ევროკავშირის წევრი. ევროკავშირის წევრი ქვეყნები მაქსიმალური სიფრთხილით ეკიდებიან საკუთარი უსაფრთხოების და ეროვნული ინტერესების დაცვას და როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს, თუ რატომ ერიდებიან ისინი ესკალაციას პირდაპირ რუსეთთან, მათი პასუხი არის ძალიან მარტივი, რომ რუსეთთან მათი პირდაპირი ესკალაცია და კონფრონტაცია გამოიწვევს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას. ჩვენთვის, საქართველოსთვის, ახალი ომის დაწყება ნიშნავს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას. აბსოლუტურად იდენტურია ჩვენთვის, იმიტომ, რომ ქვეყანა ვერ გაუძლებს ახალ ომს. ჩვენი მთავარი ამოცანა, მათ შორის, თქვენიც, ოპოზიციის წარმომადგენლებო, უნდა იყოს ერთიანობის შენარჩუნება და ამ დიდი გამოწვევის წინაშე ერთობლივად გამკლავება”,სწორედ ჩვენი დამსახურება არის ის, რომ დღეს ჩვენი მოქალაქეები და არა მხოლოდ ელიტა გადაადგილდება ევროპის მიმართულებით მარტივად, ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ას ევროდ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იმოგზაუროს, ევროპაში გაფრინდეს. ასე, რომ ეს არის რეალობა და შედეგები, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ.

“რაც შეეხება სხვა საკითხებს – გვესმის ძალიან ბევრი ბრალდებები, კრიტიკა, დესტრუქციული ექსტრემისტული ოპოზიციის მხრიდან. აბრალებენ მთავრობას, ათას ცილს სწამებენ, გვეძახიან პრორუსულს და ა.შ. მე მინდა ჩვენს საზოგადოებას შევახსენო ის კონკრეტული მიღწევები, რომელიც ჩვენ, ჩვენმა გუნდმა ბიძინა ივანიშვილის მიერ მოყვანილმა “ქართულმა ოცნებამ” მოიტანა ჩვენი საზოგადოებისთვის და ჩვენი მომავლისთვის. დესტრუქციული ექსტრემისტული ოპოზიციის წარმომადგენლები 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან მოყოლებული და მანამდეც ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს და მის გუნდს, ჩვენ ყველას დღემდე უწოდებდნენ პრორუსულ ძალას. ახლა მე მინდა შევახსენო მათ და ჩვენს საზოგადოებას, თუ რა შედეგი მოუტანა ამ ძალამ ჩვენს ქვეყანას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ჩვენ გავაფორმეთ ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, მივაღწიეთ თავისუფალ მიმოსვლას ევროპაში. სწორედ ჩვენი დამსახურება არის ის, რომ დღეს ჩვენი მოქალაქეები და არა მხოლოდ ელიტა გადაადგილდება ევროპის მიმართულებით მარტივად, ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ას ევროდ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იმოგზაუროს, ევროპაში გაფრინდეს. ასე, რომ ეს არის რეალობა და შედეგები, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ.

ახლა რა გააკეთა ჩვენმა ოპოზიციამ, ევროინტეგრაციის გზაზე, როდესაც იყვნენ ხელისუფლებაში – პრაქტიკულად არაფერი. სამი წლის დაგვიანებით დაიწყეს პრაქტიკულად მათ პროცესი ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკების. უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით საერთოდ გადაწეული იყო მოლაპარაკებები, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რეფორმის განხორციელება მოუწევდათ, რომლის სურვილი მათ უბრალოდ, არ ჰქონდათ. თქვენ გახსოვთ, რომ მათი გაცხადებული, დეკლარირებული მიზანი იყო ქვეყნის არა ევროპეიზაცია, არამედ, სინგაპურიზაცია. ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, მათმა ბელადმა შეცვალა კონსტიტუცია, აპირებდა პრემიერ-მინისტრად გადასვლას და ქვეყნის მართვას მრავალი, 20-30 წლის განმავლობაში დიქტატორული, ავტორიტარული მეთოდებით. ეს რეალობა დაგვხვდა ჩვენ. ეს არის ის მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ ჩავიბარეთ”,გეგმა რჩება ისევ გეგმად, საფრთხე იმისა, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფი მტრული ძალები და ე.წ. მეხუთე კოლონა საქართველოში შეეცადონ დესტაბილიზაციას და გადმოიტანონ ომი, არსად არ წასულა-მტრულ ძალებს დასახული მიზნის მისაღწევად რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ, მათ შორის იყო კანდიდატის სტატუსის არ მიცემა, თბილისში გამართული აქციები სახელწოდებით “შინ ევროპისკენ” და ორიოდე კვირის წინ,7-8 მარტს გამართული ძალადობრივი აქციები, სადაც აქციის მონაწილე დესტრუქციული ძალები პოლიციელების მისამართით “მოლოტოვის კოქტეილებსა” და ქვებს ისროდნენ.



* * *

ირაკლი ღარიბაშვილი - ხელისუფლება, რომელიც ადამიანებს აწამებდა, ჩაგრავდა, კლავდა, აუპატიურებდა და ართმევდა სახლებს, ბიზნესებს, ატერორებდა, არ იმსახურებს და არ აქვს მორალური უფლება, ესაუბროს ხალხს, ევროპულ ინტეგრაციაზეეს არის ქართველი ხალხის დაცინვა და შეურაცხყოფა.ევროპარლამენტმა თავისი რეზოლუციით თითქმის ტოლობის ნიშანი დაუწერა სააკაშვილსა და ჩვენს ქვეყანას - მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი არის დადასტურებული კრიმინალი, გვითხრეს, რომ ეს არ აინტერესებთ - ვიცით, რომ სააკაშვილი არის კრიმინალი, მაგრამ იგი ჩვენი კრიმინალია.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი არის დეკლარირებული, დადასტურებული კრიმინალი, ევროპარლამენტარებმა თქვეს, რომ ეს ყველაფერი არ აინტერესებთ.როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კეზერაშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებას პროკურატურები გამოძიებებს აწარმოებენ და საქართველო ამ გამოძიების პროცესში მათთან კოორდინაციაშია.ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს ევროპარლამენტარების მიერ ნიკა გვარამიას შესახებ გაკეთებულ შეფასებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კეზერაშვილის მსგავსად, გვარამიაც დამნაშავეა, კერძო კომპანიას 5 მილიონზე მეტის ზარალი მიაყენა, თუმცა ევროპარლამენტარები ამბობენ, რომ გვარამიაც მათი კრიმინალია და არ აინტერესებთ მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განგაში

## კაცს, რომელსაც ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო, მისი აშენებული სამშობლოდან უპირებენ განდევნას?

კობა არაბული

მკაფიოდ უნდა ვთქვათ, რომ ალმაშფოთებელია ის გარემოება, რასაც ქართველი ნაცები და ევროლიბერასტები ლამობენ: სანქციები დაუწესონ კაცს, ქართული კულტურისა და პოლიტიკის ბრწყინვალე მესვეურს, ერის ქომაგსა და მეცენატს, მეოხს ავადმყოფთა და დავრდომილთა...

პიროვნებას, რომელმაც პროკრუსტეს სარეცელიდან ააყენა და სააკაშვილის მორგებიდან გამოიყვანა განწირული ერი...

ქართველი ერი და მსოფლიო კულტურული საზოგადოება მას, ბიძინა ივანიშვილს, ამ სრულიად უნიკალურ ფენომენს, ძეგლს უნდა უდგამდეს და ნობელის პრემიას გადასცემდეს ომით დანგრეულ ოკუპირებულ ქვეყანაში მშვიდობის აღდგინებისთვის და ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი შემწყნარებლობისა და ოპოზიციური ექსტრემიზმის ერთგვარი ჰუმანიზაციისთვის.

მას ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო საკუთარი სახსრებით ურიცხვი ეკლესია-მონასტრის, კულტურის კერების, მუზეუმების, კინოთეატრების, სკოლებისა და უნივერსიტეტების რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის, ზოგადად, ისტორიული ცივილიზაციის დაცვისთვის.

ურიცხვი გაჭირვებულისთვის: ხელოვანისთვის, მეცნიერისთვის, საერო მოღვაწისთვის საარსებო სახსრის გაჩენისთვის, მრავალი მძიმე ავადმყოფის მკურნალობისთვის...

მას ქართველი ერი და მსოფლიო უნდა უდგამდეს ძეგლს და გადასცემდეს ნობელის პრემიას, როგორც უნიკალურ მოვლენას ქართველი ერის ისტორიაში მსოფლიოს მეცენატთა სივრცეში საქველო, კეთილშობილი, უანგარო საქმეებისთვის.

ესენი კი, ეს ევროლიბერასტები, ქართველი ნაციონალი ავაზაკების კარნახით, მისთვის საკუთარ სამშობლოში სანქციების დაწესებას ლამობენ, ძალადობენ, სამშობლოდან მის განდევნას ცდილობენ.

ეს არის ქართველი ერის, მისი კულტურის, მისი მორალური და ნებელობითი სახის წაშლა და შეურაცხყოფა. ეს არის ევროლიბერასტების იმის ფორმა ქართველთა ღირსებისა და მენტალობის წინააღმდეგ.

•

მე მეგონა, მეცნიერები ხმას ამოიღებდნენ ამაზე და თამაზ წივწივაძის სალამო საბაბი იქნებოდა პროტესტისთვის. სხვა რა დარჩა აკადემიის საქმედ, სააკაშვილმა უუფლებო პენსიონერთა პანთეონად რომ აქცია, გარდა სიტყვის თქმისა და ხმის ამოღების...

განა ასე იქცეოდნენ არანაკლებ რთულ დროში XIX საუკუნის სწავლულნი, მწერალნი და მეცნიერნი (თუნდაც ივანე ჯავახიშვილი)?

ილია ჭავჭავაძემ და თითზე ჩამოსათვლელმა ხუთიოდე მწერალმა გადაარჩინა XIX საუკუნის საქართველო და დღესაც იმ ინერციით მოვდივართ.

•

კავშირის წევრი 1000 მწერალი დუმს დღეს და არიან რაღაც ქონების ნარჩენების ქირავნობა-გაქირავების და ფარატინა ქაღალდების ფრიალის გაწამაწიაში...

მარტო „ასავალ-დასავალისა" და „საერთო გაზეთის" და მხოლოდ მათი რამდენიმე ჟურნალისტისა და სამიოდე მწერლის ღაღადისი უშველის ქვეყანას? უმორალო უდაბნოს დუმილს და ციხის გამტეხთა ღალატის ფსიქოლოგიას?

•

ინდოევროპელებმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დროგებით გადაუარეს იბერიას აზიიდან ევროპამდე. კავკასიაში გადარჩენილ იბერებს ახლა, XXI საუკუნეში, თავიდან მოგვიბრუნდნენ, როგორც „ცივილიზებული" კლონირებული ბარბაროსები.

მოგვიბრუნდნენ მორალზე მოძალადე მენტორებად და მენტალობის წასართმევად...

ისმის კითხვა: მაინცდამაინც რატომ უნდა იყოს ასპირანტი, ან ვილაცის აბიტურიენტი, უძველესი კულტურის, დამწერლობის, ანუ რუსთველისა და ფარნავაზის ერი ლიბერასტი ფსევდოდემოკრატი კოლონიალისტების მონა და მორჩილი?!

რაც ახლა ხდება, ეს არის ევროლიბერასტების მონღოლოიდური იერიში საქართველოზე...

ეს არის XXI საუკუნის კრწანისი თავისი მოღალატეებით, შიდა (ჩვენი „საკუთარი") ბერძენიშვილ-ასტრატიანების და გარე — ევროპარლამენტარი ვამპირი დეპუტატებით...

რა უნდათ, რას გვკარნახობენ? ანუ, შოთა რუსთველისა არ იყოს: „რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ", რა ჭორი მოუწერიათ?!

რას გვიწესებენ, რას გვიდგენენ ამ ალმაშფოთებელი დადგენილებით, ევროპარლამენტარი ლიბერასტები?

რატომღაც ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივს რომ გვტენიან — სააკაშვილების, გვარამიების და მათთანათა გათავისუფლების მოთხოვნით?! რუსეთ-უკრაინის ომში ჩათრევას გვაძალებენ. ეს არის მათი პოლიტიკის ღია და ფარული ქვეტექსტი — მათი ბარბაროსული ამოცანა.

ისინი, ევროპარლამენტარები, ამ დადგენილებით, საკუთარ ქვეყანაში ყოფნისთვის, ერის მკვდრეთით აღდგინებისთვის, ანუ სააკაშვილის ტირანიისგან გამოხსნისთვის, სანქციებს უწესებენ ივანიშვილს. ფაქტობრივად, სამშობლოდან აძევებენ ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მეოხს, ერის ქომაგს, ისტორიული კულტურის აღმდგენს და ტაძართა აღმშენებელ კაცს?! ანუ, ევროპარლამენტარები ნაცისტი-ექსტრემისტების ნარატივს გვთავაზობენ საკუთარ თეზისებად. სად მივყავართ ევროპას — სრულიად უმორალო ფსევდოსამართლებრივ სივრცეში? სრულიად დაუცველ გარემოში?

•

ევროპარლამენტარების დადგენილებით მკვეთრად გამოჩნდა, როგორ ებრძვიან ისინი აქ, ჩვენს ქვეყანაში, პიროვნებათა ღირსებას და ჩვენს კონსტიტუციას, როგორ გავყავართ სამართლებრივი სივრციდან და როგორ თავხედურად გვაძალებენ ჯალათი ტერორისტების გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან, ღიად გვიქადაგებენ ხელისუფლების ჩამოგდებას.

ჩვენ თუ ამას მოვითმენთ, მართლაც „ფურთხის ღირსი" ვიქნებით.

როცა ევროპამ ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივი „თეზისების" სახით შემოგვთავაზა, ეს იმის მაუწყებელია, რომ მიმდინარეობს მსოფლიოს ზნეობრივი და სამართლებრივი ნგრევის პროცესი.

ეტყობა, სახედაკარგულმა ევროპამ არ იცის, რა აკეთოს.

სად მივილტვით ჩვენ და რას გვაძლევს კანდიდატის სტატუსი, ანუ რის სანაცვლოდ უნდა მოგვეცეს ის? — სამართლის, სინდისის, ეროვნული მენტალობის თუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხარჯზე?..

XXI საუკუნის ფატალური დრო ერთდროულად გვიქადის სახელმწიფოებრივი და მორალური სახის წაშლას...

უკრაინა-ზელენსკის ნაცისტური ჯგუფი პირდაპირ მონაწილეობს საქართველოს ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების „პროცედურის" შემუშავებაში, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ჩაშლაში...

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ომი — მისი ქონების დაყადაღება, მისი გაყვანა ევროპული სივრციდან, ერის ნგრევას და ქართული სახელმწიფოსთვის ნიადაგის გამოცლას გულისხმობს.

მან საკუთარი სამშობლოსთვის გააკეთა თითქმის შეუძლებელი საკუთარი სიცოცხლის, საკუთარი ოჯახისა და მატერიალური სივრცის — ხიფათის ხარჯზე.

ივანიშვილმა სრულიად გაჩანაგებულ, ტერიტორიებდაკარგულ, დატერორებულ, სულიერი და კულტურული ნანგრევებიდან 8 წელიწადში ააწყო ქვეყანა და მისცა მშვიდობა.

ახლა მისი ნაქველმოქმედარი, ნაქმნარი და ნაღვაწი ერთი წამით ვირტუალურად რომ მოვშალოთ და წავართვათ ამ ქვეყანას, აღმოვჩნდებით ცაში ჩამოკიდებული, გამომშრალი თევზებივით, სული რომ არ უდგას...

აქ ყოველი ტაძარი, ყოველი მუზეუმი, ყოველი ინსტიტუტი, ბაღები და შენობა-ნაგებობანი მისი მადლიანი ნიჭით, ხელით, მისი მამულიშვილური სულით არის დატვირთული და აღბეჭდილი.

არასოდეს, არც რომელიმე დროში და ქვეყანაში, არც რომელიმე მოღვაწეს და ქველმოქმედს, გინდა ბიზნესმენს და ოლიგარქს, არ უკეთებია ამდენი საერო და სახელმწიფო საქმენი ყოველგვარი ანგარების გარეშე, ჩუმად და უსიტყვოდ.

კაცმა რ იცოდა, ვინ აშენებდა XXI საუკუნის „სვეტიცხოველს" — სამების დიდებულ ტაძარს.

ეს მოგვიანებით გამოჩნდა. ასე იყო ყოველთვის, ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაკეთები კეთილი საქმეების შესახებ ყოველთვის პოსტფაქტუმ ვიგებდით.

საქართველოსთვის ახალი ომის არიდება ყველაზე დიდი ნაღვაწია მისი. ამ უნიჭიერესი პოლიტიკური მოღვაწის სიბრძნემ და ირაკლი ღარიბაშვილის ქველობამ გადაარჩინა ქართველი ერი და სახელმწიფო კატასტროფისაგან.

აი, ამას ვერ გვპატიობენ.

აი, ამიტომ გვიწესებენ სანქციებს.

დაშლილი, დანგრეული, ქართა სათარეშო საქართველო ურჩევნია ყველას — ეს კარგად გამოჩნდა საიდუმლო მაისის „იდებში".

ამიტომ ყველა ჩვენგანი, ყველა ქართველი მოქალაქე მამულიშვილი, მით უფრო, მწერალი და მეცნიერი, ვალდებულია, „მეხამრიდის" ფუნქცია შეასრულოს, თორემ ჩვენი გადარჩენა XXI საუკუნეში ადვილი არ იქნება.

•

ჩვენ გამოვიარეთ სემიტური, ინდოევროპული, რომაული, სპარსულ-ოსმალური, მონღოლური, რუსული „ბომონების" ეპოქა და ეპიდემიები.

მონებად არ ვქცეულვართ.

ახლა სულ სხვა „ბომონი" და სფინქსი გამოგვიჩნდა ფსევდოდემოკრატიისა და ლიბერალიზმის „ნომრით".

პათეტიკურად ვიტყვი: არავითარი სხვა მიუვალეობა და მისია არ გაგვაჩნია — ყოველ ჩვენგანს, უბრალო პატრიოტ მოქალაქეს, გარდა სამშობლოს დაცვისა და ერის მენტალობის ძლიევს შეკოწიწებული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა...

•

ევროპას ჩვენთვის არაერთხელ უთქვამს უარი:

მან უარი უთხრა სულხან-საბას;

უარი უთხრა ერეკლე II-ს;

უარი უთხრა ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

და, შესაძლოა, ეს უარი კარგიც იყოს და მეტი თავისუფლება მოგვანიჭოს.

„სგ" N21. 2021 წ.



# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს საქმიანობის 2022 წლის პროგრამული ანგარიში

| | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| | კულტურა (ხელოვნება) | |
| 1 | საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დახმარება) | 2 491 800,00 |
| 2 | ანსამბლი "ქართული ხმები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 378 000,00 |
| 3 | საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი"რუსული კლუბი" (პროექტი: ჟურნალ "რუსული კლუბი"-ს გამოცემა) | 324 300,00 |
| 4 | ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია) | 6 500 655,95 |
| | სპორტი | |
| 1 | საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (სპორტსმენების და მწვრთნელების დახმარება) | 1 499 500,00 |
| 2 | საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია | 60 000,00 |
| | მედიცინა | |
| 1 | ფიზიკური პირების მკურნალობის დაფინანსება | 186 953,90 |
| | მეცნიერება | |
| 1 | ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის განვითარების ხელშეწყობა 2022) | 20 000,00 |
| | განათლება | |
| 1 | ააიპ "კავკასიის ფრანგული სკოლა" (სკოლის შენობის იჯარის დასაფარად) | 390 000,00 |
| 2 | სსიპ "ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი"(ქსუ-ს მიერ მისი მიზნებისა და ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული და საკოორდინაციო საქმიანობა) | 12 586 030,00 |
| 3 | ივანაშვილი ოთარი (უნგრეთში მდებარე Best fly aviation acad-ში საპილოტე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გასავლელად) | 32 914,80 |
| | რეგიონალური განვითარება (ასოციაცია "ატუ") | |
| 1 | პროექტი - "თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები) | 90 000,00 |
| 2 | პროექტი - "ქ.ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 31 016 550,00 |
| 3 | პროექტი - "ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე მშენებარე ადრონული თერაპიის ცენტრისთვის აპარატურის შეძენა და მონტაჟი" (აპარატურის შეძენა და სამონტაჟო სამუშაოები) | 1 485 000,00 |
| 4 | პროექტი - "არსებული რაგბის სტადიონების შენახვის ხარჯები-2022" | 4 584 687,00 |
| 5 | პროექტი - "ქ.ზუგდიდში რაგბის სტადიონის და 50 ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 1 500 000,00 |

| | | |
|---|---|---|
| 6 | პროექტი - "შევარდენის სარაგბო კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 3 000 000,00 |
| 7 | პროექტი - "ქ.ზუგდიდის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 1 500 000,00 |
| 8 | პროექტი-"ქ.თბილისის პეტრე ადამიანის სახ. სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 1 800 000,00 |
| 9 | პროექტი - "ქ.თბილისის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის შესაქმნელად კონცეპტუალური პროექტის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები) | 1 500 000,00 |
| 10 | პროექტი - "გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი საგრანტო პროგრამების განხორციელება" (სამშენებლო ტექნიკის შეძენა) | 800 000,00 |
| 11 | პროექტი - "საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულის დახმარება-2022" (მუნიციპელიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ობიექტების სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სამშენებლო მასალებით დახმარება) | 530 550,00 |
| 12 | პროექტი - "საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში მოქალაქე დავით დემეტრაშვილისთვის სველი წერტილის მიშენება და რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 40 000,00 |
| 13 | პროექტი - "საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილის 100 შეჭირვებული ოჯახისთვის გამათბობლების შეძენა და მონტაჟი" (სამონტაჟო სამუშაოები) | 115 500,00 |
| 14 | პროექტი - "ჯანდაცვა და სოციალური რეაბილიტაცია" (საჩხერის რაიონში სოციალურად დაუცველი პირების, ომში დაღუპულთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება) | 998 400,00 |
| 15 | პროექტი - "ეკოლოგია" (ბუნების დაცვის სამსახურის მატერიალური დახმარება) | 51 600,00 |
| 16 | პროექტი - "ქ.ხობის მუნიციპალიტეტის .სოფ.ხიბულაში ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 110 000,00 |
| 17 | პროექტი - "ქ. თბილისის ბოტანიკური ბაღისთვის მცენარეების შეძენა" | 41 886,64 |
| 18 | პროექტი - "ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში ველო-ბილიკის მიმდებარედ კლდიდან ქვების ცვენისგან დამცავი ბადის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 131 000,00 |
| | **სოციალურად დაუცველი პირების დახმარება** | |
| 1 | ააიპ საქველმოქმედო ფონდი "ჩემი სახლი" (ყოფშიძის ქუჩა #13ა-ში მდებარე ბავშვთა სახლის კომუნალური გადასახადები და საყოფაცხოვრებო ხარჯები) | 22 272,47 |
| 2 | ააიპ "საქ.საპატრიარქოსთან არსებული ლომისის წმ.გიორგის სახ. დედათა და ბავშვთა თავშესაფარი კიდევაც დაიზრდებიან" (თავშესაფრის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა-2022) | 36 000,00 |
| 3 | სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირები (დახმარება) | 247 600,00 |
| 4 | ქ.ზუგდიდის სოციალურად დაუცველი პირები (დახმარება) | 74 400,00 |
| 5 | ომის ვეტერანები (დახმარება) | 24 000,00 |
| | **სხვადასხვა პროექტები** | |
| 1 | ააიპ "ფონდი განვითარება და გარემო" (ქ.თბილისის ურბანული ტყის აღდგენის პროექტი) | 3 976 119,00 |
| 2 | ა(ა)იპ ველური ბუნების მონიტორინგისა და აღდგენის ცენტრი (პროექტი-"ზოგიერთი მტაცებელი სახეობების პოპულაციის კვლევა საქართველოში") | 2 689 760,00 |
| | **ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები** | |
| 1 | ადმინისტრაციული ხარჯი | 927 241,40 |
| 2 | უძრავი ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯი (ქ.თბილისი, გ.ეპისკოპოსის ქ.#26, ქ.თბილისი თამარაშვილის ქ.#13, დაბა ბაკურიანი წაქაძის ქ.#26) | 550 613,48 |
| 3 | ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში (შპს "საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი", შპს "სი ვიუ რესორთ" და შპს "კოსტავას 69") | 50 761 200,00 |
| 4 | არასაოპერაციო ხარჯი (საპროცენტო ხარჯი, საკურსო სხვაობა) | 84 576 113,87 |
| | სულ | 217 650 648,51 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება | –საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ" |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | –ორგანიზაცია |
| იურიდიული მისამართი | – ჭავჭავაძის 39ა |
| დარგი (საქმიანობის სახე) | – ქველმოქმედება |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| გრძელვადიანი აქტივები | 150 461 410 | 267 235 698 |
| ძირითადი საშუალებები | 27 524 505 | 27 625 550 |
| ინვესტიციები | 122 936 845 | 122 936 213 |
| არამატერიალური აქტივები | 60 | 70 |
| დარიცხული გრძელვადიანი მოთხოვნები | | 116 673 865 |
| | | |
| მიმდინარე აქტივები | 406 125 692 | 22 507 485 |
| მარაგები | 790 | 790 |
| დებიტორები | 208 338 230 | 12 779 |
| დარიცხული მოთხოვნები | 164 793 112 | 22 251 326 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 32 993 560 | 242 590 |
| | | |
| სულ აქტივი | 556 587 102 | 289 743 183 |
| | | |
| საკუთარი კაპიტალი | -19 402 753 | 90 375 012 |
| ფონდები | -19 422 753 | 90 355 012 |
| შეუზღუდავი ფონდი | -19 422 753 | 90 355 012 |
| საწესდებო კაპიტალი | 20 000 | 20 000 |
| | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | 97 295 153 |
| | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | 575 989 855 | 102 073 018 |
| კრედიტორები | 38 500 445 | 38 759 781 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 160 710 836 | 22 251 326 |
| მოკლევადიანი სესხები | 374 956 800 | 21 683 200 |
| გადასახდელი პროცენტები | 1 821 775 | 19 378 712 |
| | | |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 556 587 102 | 289 743 183 |

## საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

| I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შემოსავლები | | |
| შემოწირულობები | 7 700 000 | 51 467 360 |
| არასაოპერაციო შემოსავლები | 100 172 884 | 28 105 051 |
| სხვა შემოსავლები | | 56 250 |
| სულ შემოსავლები | 107 872 884 | 79 628 661 |
| | | |
| ხარჯები | | |
| საქველმოქმედო პროექტების ხარჯი | 80 835 480 | 69 995 536 |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი | 136 815 169 | 9 527 394 |
| სულ ხარჯები | 217 650 649 | 79 522 930 |
| | | |
| მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/დეფიციტი) | -109 777 765 | 105 731 |
| | | |
| წმინდა შედეგი | -19 422 753 | 90 355 012 |

# საქართველოს „ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი“-ს საქმიანობის ანგარიში (2022 წელი)

| № | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | აბასთუმნის წმ. პანტელეიმონის სახ. დედათა მონასტ ტერიტორიაზე ფერისცვალების სახ. ეკლესიის სამრეკლო და კარიბჭეს მშენებლობა - ადიგენის მუნიციპალიტეტი | 686303,53 |
| 2 | ვერეს ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის 3 ეტაპის რეაბილიტაცია - გორის მინიციპალიტეტი | 80055,68 |
| 3 | სოფ. ილტოზას კვირაცხოვლის სახ. ეკლესიის კომპლექსის სატრაპეზოს კვლევითი და მიწის დამუშავების სამუშაოები - დუშეთის მუნიციპალიტეტი | 22774,31 |
| 4 | სოფ. ილტოზას კვირაცხოვლის სახ. ეკლესიის კომპლექსის სატრაპეზოს რააბილიტაცია - დუშეთის მუნიციპალიტეტი | 158209,62 |
| 5 | სოფ. ყუმურდოს ტაძრის რეაბილიტაციის 6 ეტაპი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | 210283,22 |
| 6 | სოფ. ახშანის გორიჯვრის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - 2 ეტაპი, ახმეტის მუნიციპალიტეტი | 70010,77 |
| 7 | სოფ. ნაბახტევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტი | 22229,92 |
| 8 | კ. გამსახურდიას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის 1 ეტაპი - აბაშის მუნიციპალიტეტი | 201683,19 |
| 9 | აწყურის ციხის რეაბილიტაცია 7 ეტაპი - ახალციხის მუნიციპალიტეტი | 148469,87 |
| 10 | არქიტექტურული კომპლექსის 'მოდი ნახე„-ს მე5 ეტაპის რეაბილიტაცია - საჩხერის მუნიციპალიტეტი | 79958,37 |
| 11 | ქ. ქუთაისში გრიგოლ ხანძთელის ქუჩაზე მდებარე წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესიის მე4 ეტაპის რეაბილიტაცია | 319366,1 |
| 12 | სოფ. ბოხვაურის მთავარანგელოზთა სახ. ეკლესიის 3 ეტაპის რეაბილიტაცია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი` | 98023,65 |
| 13 | სოფ. ატოცის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის კოშკის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია - ქარელის მუნიციპალიტეტი | 202566,45 |
| 14 | სოფ. გუდალეთის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის მე4 ეტაპის რესტავრაცია - კასპის მუნიციპალიტეტი | 149059,17 |
| 15 | ქ. ფოთში დ. ალმაშენებლის ქ. №55 მდებარე ისტორიული შენობის 3 ეტაპის რეაბილიტაცია | 648454,6 |
| 16 | სოფ. ნოსტეს წმ. გიორგის სახ. ეკლესიის კომპლექსის რეაბილიტაცია - კასპის მუნიციპალიტეტი | 141929,48 |
| 17 | სოფ. ქვაითის (ხუნწი) წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის 3 ეტაპის რეაბილიტაცია -მარტვილის მუნიციპალიტეტი | 40035,3 |
| 18 | ანანურის ციხე-კომპლექსის გალავნისა და ტერიტორიის 3 ეტაპის რეაბილიტაცია - დუშეთის მუნიციპალიტეტი | 50506,34 |
| 19 | სოფ. ველევის წმ. სამების სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 73010,5 |
| 20 | სოფ. რგანის თეთრი წმ. გიორგის სამნავიანი ბაზილიკის რეაბილიტაცია - ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 44925,9 |
| 21 | სოფ. პატარა თონეთის კვირაცხოვლის სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი | 94958,81 |
| 22 | ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის სახ. სამნავიანი ბაზილიკის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - წალკის მუნიციპალიტეტი | 12000 |
| 23 | თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაცია Ⅱეტაპი - ახალციხის მუნიციპალიტეტი | 67469,89 |
| | | |
| სულ | | 3622284,67 |

# საქართველოს „ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი" (2022 წლის ბალანსი)

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 204437341 |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: | ა(ა)იპ |
| იურიდიული მისამართი: | ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 5 |
| დარგი (საქმიანობის სახე): | ქველმოქმედება |

## ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 2021 | 2022 |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | **10873** | **2731** |
| ძირითადი საშუალებები | 10873 | 2731 |
| | | |
| **მიმდინარე აქტივები** | **5639294** | **3135584** |
| დებიტორები | 2668581 | 8869 |
| ავანსები | 100874 | 44043 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 2869839 | 3082672 |
| | | |
| ***სულ აქტივები*** | ***5650167*** | ***3138315*** |
| | | |
| ფონდები და ვალდებულებები | | |
| **ფონდები** | **1405790** | **1299753** |
| შეუზღუდავი ფონდი | 1405790 | 1299753 |
| | | |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | **4244377** | **1838562** |
| კრედიტორები | 4244377 | 1838562 |
| | | |
| ***სულ ფონდები და ვალდებულებები*** | ***5650167*** | ***3138315*** |

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 დამთავრებული წლისათვის (მოგება-ზარალი)

| I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | 2021 | 2022 |
|---|---|---|
| შემოსავლები | | |
| გრანტი | 3999532,37 | 3840000 |
| სხვა შემოსავლები | 0 | 0 |
| ***სულ შემოსავლები*** | ***3999532,37*** | ***3840000*** |
| | | |
| ხარჯები | | |
| I პროექტის ხარჯი | 8894931 | 3620481 |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი | 216210 | 325556 |
| ***სულ ხარჯები*** | ***9111141*** | ***3946037*** |
| | | |
| *მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/ დეფიციტი)* | *-5111608,63* | *-106037* |
| | | |
| *წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)* | *1405790* | *1299753* |

# ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ"-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**დასახელება: ასოციაცია ატუ; საიდენთიფიკაციო კოდი: 239402491; მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრო 39ა**

| | 2021 | 2022 |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| გრძელვადიანი აქტივები | 51 162 410 | 49 099 904 |
| ძირითადი საშუალებები არამატერიალური აქტივები | 21 078 550 | 19 016 043 |
| ინვესტიციები | 30 083 861 | 30 083 861 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| მიმდინარე აქტივები | 616 599 428 | 379 949 433 |
| მარაგები | 295 485 310 | 262 748 535 |
| დებიტორები | 315 486 970 | 110 148 724 |
| ზედმეტად გადახდილი გადასახადები | 613 463 | 85 579 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5 013 685 | 6 966 595 |
| სულ აქტივები | 667 761 838 | 429 049 337 |
| ფონდები და ვალდებულებები | 667 761 838 | 429 049 337 |
| ფონდები | | |
| შეუზღუდავი ფონდი | | |
| დროებით შეზღუდული ფონდი | | |
| მუდმივად შეზღუდული ფონდი | 667 761 838 | 429 049 337 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი სესხები | | |
| საპენსიო ანარიცხები | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | |
| კრედიტორები | | |
| მოკლევადიანი სესხები | | |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | |
| სულ ფონდები და ვალდებულებები | 667 761 838 | 429 049 337 |

გამგეობის თავმჯდომარე — როსტომ ჩაბრაძე

მთავარი ბუღალტერი — ვახტანგ არაბული

239402491 ASSOCIATION ATU

# ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ"-ს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

| | 2021 წელი | 2022 წელი |
|---|---|---|
| I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | | |
| II. დროებით შეზღუდული ფონდების ნაწილში | | |
| III. მუდმივად შეზღუდული ფონდების ნაწილში | | |
| შემოსავლები | | |
| სულ შემოსავალი | 101 745 632 | 103 796 410 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| **საგრანტო ფინანსირების პროექტების ხარჯები** | **37 741 426** | **297 151 091** |
| აბასთუმანში დედათა და მამათა მონასტრების რეაბილიტაცია | 200 000 | 0 |
| არსებული რაგბის სტადიონების შენახვის ხარჯები | 4 770 394 | 4 584 687 |
| ეკოლოგია | 51 600 | 51 600 |
| ზუგდიდის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 1 400 000 | 1 500 000 |
| თბილისის ბოტანიკურ ბაღში ველობილიკების მოწყობა | 2 270 000 | 0 |
| თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები | 90 000 | 90 000 |
| ოზურგეთის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები | | |
| სომხური დრამატული თეატრი | 1 367 500 | 1 800 000 |
| ქონების დაგროვება და სხვადასხვა საგრანტო პროგრამების განხორციელება | | |
| ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები | 18 867 551 | 31 016 550 |
| ჯანდაცვა და სოც რეაბილიტაცია | 998 400 | 998 400 |
| გორის აღდგომის ტაძარი | | |
| ზუგდიდის საკათედრო ტაძარი | | |
| თბილისის სხვადასხვა რ-ში ახალგაზ. ჰაბის საპრ. სამუშაოები | | |
| **შევარდენის რაგბის სტადიონის რეკონსტრუქცია 2022** | 0 | **3 000 000** |
| ხიბულაში ზ.გამსახურდ მუზ. ეზოში ეკლესიის მშენებლობა | | |
| **ჭორვილის 100 ოჯახს გამათბობლები 2022** | 0 | **115 500** |
| ხიბულაში ზ.გამსახურდიას სახლ.მუზ-ის რეაბილიტაცია | 0 | **110 000** |
| ხიბულაში პარკის მოწყობა | 346 419 | 0 |
| აბასთუმანში ფალიაშვილის #26 და #28-ში სახლების კეთ-ბა | | |
| ადიგენის მერიისთვის სახანძრო ზურგჩანთების შეძენა 2020 | | |
| განათლების სამინისტროსთვის მერხების შეძენა 2020 | | |
| ზუგდიდში რაგბის სტადიონი და 50 ადგ. სასტუმროს მშენებლობა | 400 000 | 1 500 000 |
| ინტერაქტიური ეკრანების შეძენა განათლების სამინისტროსთვის | | |
| პირბადეების შეძენა და სახელმწიფოსთვის გადაცემა | | |
| ქუთაისის უნივერსიტეტში ანდრონული ცენტრის მშენებლობა | 0 | 1 485 000 |
| აბასთუმანში ფალიაშვილის #26-ის სახლის ეზოს კეთილმოწყობა | 490 000 | 0 |
| აბასთუმანში ფალიაშვილის #36 საცხ.სახლის ფასადის რეაბილიტაცია | 120 000 | 0 |
| აბასთუმნის #28 და #36 სახლების მიმდ.ტერიტ. მდინარის ნაპირგამ. სამუშ. | 350 000 | 0 |
| ადიგენის მუნიციპალიტეტისთვის მცენარეების შეძენა | 192 200 | 0 |
| გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი საგრანტო პროგრამების განხორციელება | 200 000 | 800 000 |
| ზუგდიდის საკათედრო ტაძარი | 49 800 | 0 |
| თბილისის ბოტანიკურის სარწყავი სისტემის მოწყობა | 950 000 | 0 |
| **ბოტანიკურში ველობილ მიმდ ქვათაცვენის ბადეების მოწყობა 2022 2023** | 0 | **174 119** |
| თბილისის სხვადასხვა რ-ში ახალგაზ. ჰაბის საპრ. სამუშაოები | 443 325 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| თბილისის იპოდრომის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები | 1 300 000 | 1 500 000 |
| თბილისში ბოტანიკურში სატუმბი სადგურის გადაიარაღება | 364 255 | 0 |
| საჩხერის მუნიციპ. საკრებ. დახმარების პროგრამა | 317 500 | 498 550 |
| მჭედლიშვილი ნოდარის სახლის რემონტი | 0 | 32 000 |
| დავით დემეტრაშვილისთვის სველი წერტილის მიშენება და რემონტი | 0 | 40 000 |
| ქობულეთში ოჩხამურში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა | 400 000 | 0 |
| ჭანიეთში მრავალფუნქციური მინი სტადიონის და პარკის მოწყობა | 312 117 | 0 |
| ხიბულაში ზ.გამსახურდ მუზ. ეზოში ეკლესიის მშენებლობა | 1 200 000 | 0 |
| სხვა ქველმოქმედებანი | 0 | 0 |
| მეზობლის სახლების სარემონტო სამუშაოები ჭორვილაში | 8 529 | 0 |
| სანერგე მეურნეობა ს.საირხეში | 31 525 | 0 |
| ს.ჩონთოში წყალსადენის და სარწყავი სისტემის მოწყობა | 1 017 | 0 |
| რაგბის კომპლექსი ქუთაისში | 3 627 | 0 |
| რაგბის სტადიონი დიდ დიღომში | 5 321 | 0 |
| ოზურგეთის დრამატული თეატრი | 6 186 | 0 |
| ველობილიკები ურეკი-შეკვეთილში | 623 | 0 |
| აბასთუმნის დედათა მონასტერი | 11 500 | 0 |
| აბასთუმნის ამბულატორია (პოლიკლინიკა) | 13 546 | 0 |
| აბასთუმნის სარეაბილიტაციო (ტუბ) ცენტრი | 3 025 | 0 |
| ხიბულას საბავშვო ბაღი | 5 370 | 0 |
| შემოწირულობა „ბანკი ქართუ"-სგან | | 100 000 |
| ხიბულაში გამსახურდიას მუზეუმთან ეკლესია და სკვერი | 198 743 | 0 |
| ჭანიეთში მრავალფ. მინი სტადიონის და პარკის მოწყობა | 1 354 | 0 |
| წინა წლების დახურული საგრანტო პროექტები 2022 ში | | 247 754 685 |
| **სულ ყველა პროექტების ხარჯები** | **37 741 426** | **286 481 213** |
| **ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები** | **10 968 598** | **24 050 087** |
| **სხვა ხარჯი** | **3 220 526** | **31 977 609** |
| **სულ ხარჯები** | **51 930 550** | **342 508 909** |
| **მიმდინარე წლის ფინანსური შედეგი** | **49 815 082** | **103 796 409** |
| **ფონდის ზრდა შემცირება** | **49 815 082** | **-238 712 500** |
| **წმინდა შედეგი** | **667 761 837** | **429 049 337** |

გამგეობის თავმჯდომარე როსტომ ჩაბრაძე

მთავარი ბუღალტერი ვახტანგ არაბული

# ა(ა) იპ „ასოციაცია ათუ"-ს ფონდებში ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

| | მუდმივად შეზღუდული ფონდები | სულ |
|---|---|---|
| **2019 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **377 864 132** | **377 864 132** |
| გრანტი და შემოწირულობები | 488 846 334 | 488 846 334 |
| ფონდის რეკლასიფიცირება | 0 | 0 |
| ხარჯების დაფინანსება | 248 763 711 | 248 763 711 |
| ფონდის ზრდა (შემცირება) | 240 082 623 | 240 082 623 |
| **2020 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **617 946 755** | **617 946 755** |
| გრანტი და შემოწირულობები | 101 745 632 | 101 745 632 |
| ფონდის რეკლასიფიცირება | 0 | 0 |
| ხარჯების დაფინანსება | 51 930 550 | 51 930 550 |
| ფონდის ზრდა (შემცირება) | 49 815 082 | 49 815 082 |
| **2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **667 761 837** | **667 761 837** |
| გრანტი და შემოწირულობები | 103 796 409 | 103 796 409 |
| ფონდის რეკლასიფიცირება | | |
| ხარჯების დაფინანსება | 342 508 909 | 342 508 909 |
| ფონდის ზრდა (შემცირება) | -238 712 500 | -238 712 500 |
| **2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **429 049 337** | **429 049 337** |

გამგეობის თავმჯდომარე — როსტომ ჩხაიძე

მთავარი ბუღალტერი — ვახტანგ არაბული

# ა(ა) იპ „ასოციაცია ათუ"-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 2 021 | 2 022 |
|---|---|---|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | **48 997 534** | **62 761 143** |
| გრანტიდან შემოსავალი | 34 951 517 | 49 296 406 |
| შემოწირულობებიდან შემოსავალი | 2 200 000 | 200 000 |
| კომერციული შემოსავლები ფულადი | 5 279 497 | 12 892 496 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 6 566 520 | 372 241 |
| ხარჯები | **53 941 248** | **60 808 233** |
| საგრანტო და არასაგრანტო, კომერციული პროექტების ფინანსირება | 31 828 850 | 34 538 546 |
| კომერციული სამშენებლო ობიექტების ხარჯები | 2 605 375 | 7 890 820 |
| ავტოფარეხის გასავლები | 4 205 503 | 6 209 021 |
| ადმინისტრაციული ხარჯები საგრანტო ფინანსირების ფარგლებში | 6 240 866 | 6 227 999 |
| ბიუჯეტის და სხვა ფონდებში გადასახდელები | 730 411 | 2 050 187 |
| ვალუტაში შესყიდვის ხარჯი, საბანკო მომსახურება | 4 852 771 | 531 260 |
| ლოჯისტიკა-მომარაგება-ტრანსპორტირების ხარჯები | 258 276 | 864 419 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| წარმოების ხარჯები | 2 528 337 | 1 913 486 |
| დაზღვევის ხარჯები | 369 654 | 879 113 |
| აქტივების შესყიდვა | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა | 319 169 | 149 493 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნამეტი | 0 | |
| | | |
| სხვა ხარჯები | 2 034 | 53 938 |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)** | **-4 943 714** | **1 952 910** |
| **ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის** | **9 957 399** | **5 013 685** |
| **ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასასრულისთვის** | **5 013 685** | **6 966 595** |

გამგეობის თავმჯდომარე — როსტომ ჩაბრაძე

მთავარი ბუღალტერი — ვახტანგ არაბული

# აუდიტის დასკვნა ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ"-ს 2022 წლის ფინანსურ ბალანსზე

**აუდიტ-ცენტრი**

0171, თბილისი, 26 მაისის მოედანი №2
V სართული
ტელ: 294-16-03; 236-37-43
E-mail: auditcenter_ltd@yahoo.com

**AUDIT-CENTER**

№ 3/4 "23" მარტი 2023 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ"-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია ატუ"-ს (შემდგომში „დამკვეთი") 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური დოკუმენტების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) აუდიტი.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს დამკვეთის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. იგი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით დადგენილ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ამგვარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ"-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) აუდიტს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით დადგენილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) მომზადებას. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

წინამდებარე დასკვნა შედგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მიზნებისათვის და ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მეცხრე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფინანსურ დოკუმენტებს (ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს).

აუდიტი ჩატარდა შერჩევითი შემოწმების გზით და შეეხო პერიოდს 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ამასთან შერჩევის პერიოდმა მოიცვა 2022 წლის ოქტომბერი.

წლიური ფინანსური ანგარიშების სახით აუდიტისთვის წარმოდგენილ იქნა წლიური ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში. შესამოწმებლად ასევე წარმოდგენილ იქნა 2022 წლის ოქტომბრის თვის საგადასახადო დეკლარაციები და ფინანსური ანგარიშები.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია ატუ" 2012 წლის ივნისიდან აღრიცხულია დღგ-ს გადამხდელად. მის მიერ სრულად და დროულად არის შესრულებული საქმიანობიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებები და წარდგენილია საგადასახადო დეკლარაციები.

2022 წლის ოქტომბრის თვის ანგარიშგება, ჩვენი აზრით, გამჭვირვალეა. ოპერაციები შინაარსობრივად და ფორმალურად შეესაბამება აღრიცხვის პრინციპებსა და ოპერაციის მიზნებს. შერჩევითი შემოწმების დროს არ გამოვლენილა არსებითი ხასიათის უზუსტობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამდენად, ჩვენ გვაქვს იმის საფუძველი, რომ ეს შედეგი გავავრცელოთ წლიურ ანგარიშგებაზე.

ჩატარებული პროცედურების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) უტყუარად ასახავს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ"-ს ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

შპს „აუდიტ-ცენტრი"-ს დირექტორი,
სერტიფიცირებული აუდიტორი — ვაჟა ლალებაშვილი

23 მარტი 2023 წ.
ქ. თბილისი

რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-213228

# თბილისის გუბერნატორობიდან იმპერიის სასახლეებში


გიორგი შერვაშიძე

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მთავართა, შერვაშიძეების საგვარეულოდან ორ უდიდეს პიროვნებას — გიორგი მიხეილის-ძეს და გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძეებს იცნობს ისტორია.

გიორგი მიხეილის-ძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამით-ბეი) შერვაშიძის შთამომავალი გახლდათ. უაღრესად განათლებული პიროვნება — პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გიორგი დიმიტრის-ძე — დინჯი და მოქნილი დიპლომატი, რომელიც კონფლიქტური ვითარებიდან ყოველთვის მშვიდობიან გამოსავალს ეძებდა და ხშირად აგნებდა კიდეც.

გიორგი დიმიტრის-ძისა და გიორგი მიხეილის-ძის ბაბუები ძმები იყვნენ. ამ ორი, ხასიათისა და ცხოვრების წესით სრულიად განსხვავებულ პიროვნებათა ცხოვრების გზები ბავშვობიდან გაიყო, თუმც დარჩა საერთო მიზანი — დაუღალავი, თავდადებული ღვაწლი სამშობლოსათვის.

გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე 1848 წლის 6 იანვარს კელასურში, საგვარეულო მამულში დაიბადა. დედის, სამეგრელოს მთავრის, ლევან მეხუთის ქალიშვილის, ეკატერინე-პუპის გარდაცვალების შემდეგ მამამ, დიმიტრი ჰასან ბეგ შერვაშიძემ პატარა გიორგი აღსაზრდელად გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ კოლუბიაკინს მიაბარა. მალე დიმიტრი ჰასანბეის — ძეც გარდაიცვალა და აღმზრდელმა ბავშვი პეტერბურგში წაიყვანა, სადაც გიორგი შერვაშიძემ ბრწყინვალე განათლება მიიღო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა თავადი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და იურისტის პროფესიას ბრწყინვალედ დაეუფლა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გიორგი შერვაშიძემ შექმნა საინტერესო ნაშრომი: «მაკიაველი, მისი ცხოვრება და თხზულებები». წარმატებული სტუდენტს მაკიაველი აღორძინების ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ 1865 წელს, აფხაზეთში, 17 წლის ასაკში გიორგი შერვაშიძემ აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც იგი აფხაზეთს ჩამოაშორეს. რუსეთის ხელისუფლება მიესალმა ამ გადაწყვეტილებას, რადგან მიაჩნდა, რომ აღნიშნული ფაქტით მთელ ამ მხარეს სიმშვიდე დაეუფლებოდა. მიუხედავად სიშორისა, გიორგი შერვაშიძე, კარგა ხანს, ტონს აძლევდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას და ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილი, საზოგადოებრივ განწყობას აყალიბებდა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გიორგი შერვაშიძე ქართულ არისტოკრატიას დაუახლოვდა. სწორედ აქ გაიცნო მან პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, ბარონ ნიკოლაის ასული სოფიო. მალე ახალგაზრდები დაქორწინდნენ და ვაჟი შეეძინათ, რომელსაც სახელად დიმიტრი დაარქვეს. გიორგი შერვაშიძის გუბერნატორობის პერიოდში სოფიო ნიკოლაი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებითა და ქველმოქმედებით იყო დაკავებული.

გიორგი შერვაშიძე ილია ჭავჭავაძესთან და ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობდა. იგი ბევრ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მფარველობდა და ხშირად თავად იყო მრავალი ეროვნული წამოწყების სულის ჩამდგმელი. გიორგი შერვაშიძე განსაკუთრებით ბავშვთა სასკოლო განათლების საკითხებს აქცევდა ყურადღებას, დაკავებული იყო ახალგაზრდების კულტურული აღზრდისა და მეცნიერული განვითარების პრობლემებით.

მისი ცხოვრების თუნდაც ეს ერთი ეპიზოდი, ნათლად მეტყველებს აფხაზი თავადის სამშობლოს სიყვარულზე და სათუთ ადამიანურ ბუნებაზე. შალვა ნუცუბიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1917 წელს იგი პეტერბურგში, თბილისის უნივერსიტეტის გასახსნელად მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად მიავლინეს. იმ დროს იმპერიის დედაქალაქში უკვე იმყოფებოდა გიორგი შერვაშიძე. იმხანად პეტერბურგში დიდი არეულობა იყო. შალვა ნუცუბიძე ქალაქში შემთხვევით გადააწყდა გიორგი შერვაშიძეს, თბილისის ყოფილ გუბერნატორს, ისარგებლა მომენტით და გიორგის თავის ჩასვლის მიზანზე ესაუბრა. იმხანად სამეფო კარის ობერჰოფმაისტერი ამ ამბავმა უზომოდ გაახარა, მომავალ უნივერსიტეტს თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა შესთავაზა და სამივე წიგნთსაცავი თბილისში გამოგზავნა.

1877–1878 წლებში გიორგი რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა. 1889–1897 წლებში ის თბილისის გუბერნატორი გახლდათ. ამ წლებში დედაქალაქისა და მთელი ქვეყნისთვის უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა — მოეწყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც, მისი ინიციატივით, პირველად იქნა გატანილი ქართული ღვინო; ხელი შეუწყო საგანმანათლებლო რეფორმის გატარებას; დაასრულა თბილისის ოპერის თეატრის მშენებლობა: მისი გუბერნატორობის პერიოდში აშენდა სკოლები, გაკეთდა გზები და ხიდები, გაყვანილ იქნა რკინიგზა, მოწესრიგდა ქალაქის წყალგაყვანილობა, მისი საზრიანი, უნარიანი ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთ საქართველოში დაძლეულ იქნა შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიები. უშუალოდ მისი მონაწილეობით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, მიღებულ იქნა კანონები, რამაც ქართველ გლეხს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ერთი სიტყვით, სახელმწიფო სამსახური გიორგი შერვაშიძისთვის, უწინარესად, ხალხის მსახურებას ნიშნავდა.

კოპენჰაგენის სამეფო სასახლეში, დანიის დიდებულთა ორდენის, «დანებროგის» კავალერთა დარბაზის კედლებზე, სხვადასხვა ქვეყნების გვირგვინოსანთა და რჩეულ გვარიშვილთა გერბებს შორის გამოირჩევა თვად გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძის გერბი. სხვათა მსგავსად, ისიც სპეციალურ ყავისფერ ხის ჩარჩოში, კარტუშშია მოთავსებული, მაგრამ მნახველი მყისვე მიხვდება, რომ ჩრდილოეთის სახელმწიფოების დიდებულ საგვარეულოთა გერბი კი არა, ის რომელიღაც სხვა მხარისა უნდა იყოს. როგორ მოხვდა თავად გიორგი შერვაშიძის გერბი დანიის სამეფო სასახლის «დანებროგის»კავალერთა დარბაზის კედელზე?


იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნა

პასუხს ამ კითხვაზეXIX საუკუნის რუსეთის იმპერიის სამეფო კართან მივყავართ.

დანიის მეფის, ქრისტიან IX-სა და დედოფალ ლუიზას ქალიშვილი პრინცესა ლუიზა — სოფია დაგმარა 1881 წელს რუსეთის მეფის, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე გახდა. რუსეთის სამეფო კარზე ლუიზა-სოფია დაგმარამ მართლმადიდებლობა მიიღო, ჯვარი დაიწერა და სამეფო კარს დიდი მთავრის, მარია ფიოდოროვნას სახელით მოევლინა.

1894 წელს ალექსანდრე III მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მაშინ მარია ფიოდოროვნა 47 წლის იყო. დაქვრივებულმა ქალმა მძიმედ განიცადა მეუღლის დაკარგვა. დაიწყო დედოფლის ცხოვრების მძიმე წლები. შვილებზე ზრუნვასთან ერთად, მან ქველმოქმედის მისიაც იტვირთა და ნიკოლოზ მეორეს, თავის ვაჟს რჩევებს აძლევდა, თუმც ამის შესახებ ყველა დუმდა. მარია ფიოდოროვნას ცხოვრებაში ეს სიახლე იყო, რადგან იმპერატორი ალექსანდრე III სასტიკად უკრძალავდა დედოფალს სახელმწიფო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას.

მარია ფიოდოროვნას რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში მოუხდა დედოფლის გვირგვინის ტარება. რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის დედამ ვერ იხსნა ქვეყანა იმ ტრაგედიისგან, აგორებული ნგრევისა და ალვირახსნილი სისასტიკისგან, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის თავზე დატრიალდა, ოქტომბრის რევოლუციით დასრულდა და რომლის შედეგებსაც დღემდე იმკის არაერთი ქვეყანა...

გონიერმა, განათლებულმა, მართვის უნარით დაჯილდოებულმა, ქველმოქმედმა დედოფალმა პირველ მსოფლიო ომში წითელი ჯვრის საზოგადოება დაარსა, ვრცლად გა-


დგანან, მარცხნიდან: გიორგი შერვაშიძე, ალექსანდრე შერვაშიძე; სხედან, მარცხნიდან: სოფიო, ასმათ და თამარ შერვაშიძეები


ასმათ და გიორგი შერვაშიძეები



შალა მუშაობა და ქვეშევრდომთა მეშვეობით წარმატებით არეგულირებდა დაჭრილების მოვლა-პატრონობისა და ფრონტის წინა ხაზიდან უსაფრთხო გარემოში გადაყვანას. სასახლის კარზე, ცხადია, მას თანამოაზრეები და მხარდამჭერები ჰყავდა, რომლებიც ზრუნავდნენ, რომ ალექსანდრა ფიოდოროვნასთან, ნიკოლოზ მეორის მეუღლესთან, დედა-დედოფალს რომ არ მოსწონდა და ერთმანეთს ვერ გაუგეს, მარია ფიოდოროვნას ურთიერთობა არ გაფუჭებოდა და ნიკოლოზ მეორის სიყვარული და კრძალვა დედასა და მეუღლეზე თანაბრად გადანაწილებულიყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარია ფიოდოროვნას გარემოცვიდან, აფხაზეთის უგანათლებულესი თავადი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე პატივისა და ღირსების თვალშისაცემ, მაღალ პიედესტალზე იდგა.

ახლობელი ადამიანების კერძო საუბრებიდან მახსოვს, რომ პრინცესა მარიამ და გიორგი შერვაშიძემ ახალ ათონში გაიცნეს ერთმანეთი. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე IIIთავის მეუღლესთან, დედოფალ მარიასთან ერთად, ათონის მონასტრის მოსანახულებლად, შესაძლოა, მოსალოცად ჩავიდნენ, სადაც მათ მასპინძლობას უწევდა თბილისის იმდროინდელი გუბერნატორი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე.

მარია ფიოდოროვნა გულგრილი არ დარჩენილა დახვეწილი მანერების მქონე, მომხიბლავი გარეგნობის, განათლებული, დიდებული პიროვნების მიმართ. 1900 წელს, როდესაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მგლოვიარე, ძაძებით შემოსილი დედოფალი დარდის გასაქარვებლად სამშობლოში, კოპენჰაგენში გაემგზავრა, მას თან ახლდა რუსეთის იმპერიის სასახლის კარის ობერჰოფმაისტერი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე.

არსებობს ცნობა, რომ 1907 წელს, იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნამ და გიორგი შერვაშიძემ იქორწინეს და მარგინატიკული ქორწინება ნიკოლოზ მეორემაც აღიარა. თუმც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის ხელისუფლება და ისტორიოგრაფია ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავს, მიუხედავად იმისა, რომ მარია ფიოდოროვნას დღიურებსა და კორესპონდენციებში ამ ფაქტზე არაერთი მინიშნება გვხვდება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877–1878) აფხაზები აჯანყდნენ და თურქეთის მხარე დაიჭირეს, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა შერისხა ისინი, «დამნაშავე ხალხის» სტატუსი მიანიჭა და აუკრძალა შავ ზღვასთან 30 კმ-ზე მიახლოება. ეს მათი აყრისა და გადასახლების ტოლფასი იყო, რადგან, ფაქტობრივად, მშობლიური ადგილებიდან 30 კილომეტრის დაშორებით უნდა ეცხოვრათ. ეს ძალზე ვრცელი და მტკივნეული თემაა რუსეთ-საქართველოს ისტორიაში. გაბრიელ ქი-



ქოძის, აფხაზეთისა (1869–1886) და სამეგრელო-სვანეთის (1873–1886) ეპარქიების ეპისკოპოსისა და, განსაკუთრებით, გიორგი შერვაშიძის ვაჟკაცური შემართებისა და დაუღალავი მცდელობის შედეგად აფხაზი ხალხი შეიწყნარეს და ნიკოლოზ მეორემ მათ «დამნაშავის» სტატუსი მოუხსნა.

გავიხსენებ კიდევ ერთ ამბავს ჩვენი ნათესავის, ხელოვნებათმცოდნე ლეონიდე შერვაშიძის მოგონებიდან.

ლეონიდე შერვაშიძე დაიბადა პარიზში. მამამისი სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ როგორც კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალის მოსახდელად, ცოლშვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. მას ცოლად ჰყავდა ტერეზა მურზაყანის-ას ლაკერბაია. ალექსი კიევთან ახლოს, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გაამწესეს. ომში მას აღმზრდელიც გაჰყვა, გვარად თარბა, რომელიც გერმანული წარმოშობის ერთ-ერთ ოფიცერს, გვარად შტრომბერგს თვალში არ მოუვიდა და ერთ-ერთი კონფლიქტის დროს მას მათრახი გადაუჭირა. ალექსიმ ოფიცრის ეს ქმედება პირად შეურაცხყოფად მიიღო, ამიტომ ის დუელში გამოიწვია და სიცოცხლეს გამოასალმა. ამ ამბავს დიდი აურზაური მოჰყვა. ლეონიდე იხსენებდა: ჩვენთან მოირბინა აღელვებულმა მარი ფიოდოროვნამ და შეგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ალექსის დასახსნელად. იმხანად დუელი სასტიკად იკრძალებოდა და ალექსის საქციელით გიორგი შერვაშიძე ისე აღშფოთებულა, განრისხებულს უთქვამს, ეს რა ჩაიდინა, დაუყოვნებლივ ფრონტის წინა ხაზზე გავაგზავნიო. ბოლოს ეს საქმე მარია ფიოდოროვნას დახმარებით ჩაუფარცხავთ.

ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მარია ფიოდოროვნა იალტაში გაემგზავრა. გიორგი შერვაშიძე პეტერბურგში დარჩა სახელმწიფო საქმეების მისახედად. მალე მარია ფიოდოროვნა შინა პატიმრობაში აიყვანეს. ნოემბერში მას გიორგი შერვაშიძემაც ჩააკითხა და მანაც მეუღლის ბედი გაიზიარა. ის აღარ იყო ახალგაზრდა და ჯანმრთელობაც ხშირად ღალატობდა, გაცივდა და გარდაიცვალა. აფხაზეთის თავადი იქვე მიაბარეს მიწას. დაკრძალულია აიტოდორის ციხესიმაგრის საგვარეულო სამარხში, სადაც ვორონცოვ-დაშკოვები განისვენებენ. ხელახლა დაქვრივებული და დამწუხრებული მარია ფიოდოროვნა ბრიტანული სამხედრო გემის გემბანზე ავიდა და რუსეთი სამუდამოდ დატოვა.

1918 წლის 26 მარტს რუსეთის მიწამ კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი თავადი, გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე მიიბარა, რომლის სახელი და საქმენი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

**ასმათ შერვაშიძე**
599 23 83 85

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

**მთვარისა კევლიშვილი.**

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

**- რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს სოციალური დახმარება?**

- სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ:



- ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;
- ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი;
- ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;
- შეიცვალა ოჯახის შემადგენლობა;
- ოჯახს დაემატა სრულწლოვანი წევრი;
- ოჯახში ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელზე მეტი;
- ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;
- ოჯახი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას.

საარსებო შემწეობის მიღება, შეჩერება ან შეცვლა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილება (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და სხვ.);
- ოჯახის წევრისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება ან დაკარგვა;
- დასაქმება, ლეგალური შემოსავალი;
- ასევე, კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები.

დევნილები, რომლებიც იღებენ დევნილის ყოველთვიურ შემწეობას, იმავდროულად ვერ მიიღებენ საარსებო შემწეობასაც, მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი შემწეობის მიღება

საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს შეუძლია:

- მიიღოს საარსებო შემწეობა;
- მოითხოვოს საარსებო შემწეობის ადგილზე მიტანა, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი;
- საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს სოციალური პაკეტი, სახელმწიფო პენსია/კომპენსაცია, სხვა ინდივიდუალური სოციალური დახმარება ან/და სხვა სახელმწიფო გასაცემელი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;
- მოითხოვოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
- ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ვალდებულია:

- აცნობოს მომსახურების სააგენტოს ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების (წევრის გარდაცვალება, დაბადება, ქორწინება, საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა და სხვ.) და/ან ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;
- აცნობოს აღნიშნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს არაუგვიანეს 1 თვისა.
- ოჯახს, რომელიც მინიჭებულ ქულას არ ეთანხმება, შეუძლია განმეორებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს ოჯახის ხელახალი გადამოწმება. ოჯახმა ხელახალი გადამოწმება შემწეობის მისაღებად შეიძლება მოითხოვოს ბოლო შემოწმებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.
- ხელახალი გადამოწმების დროს გამოიყენება პირველადი შემოწმების წესები, პროცედურები და ვადები.
- ოჯახის ხელახლა გადამოწმებაზე უარის ან ხელახლა გადამოწმების დროს მინიჭებულ ქულაზე კვლავ არ დათანხმების შემთხვევაში, ოჯახს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სოციალური მომსახურების სააგენტოში (ცენტრალურ ოფისში). ადმინისტრაციული ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

* * *

**— მსხვერპლის მოძალადისგან განრიდების რა საშუალებები არსებობს?**

— ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც ხდება მსხვერპლის ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება.

არსებობს კრიზისული ცენტრი — ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას.

ასევე, შესაძლებელია მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე დროებით დარჩენა და მოძალადის განრიდება ამ საცხოვრებლისგან იმ შემთხვევაშიც, როდესაცეს საცხოვრებელი მოძალადის საკუთრებაა.

თუ თქვენ გახდით ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან ფლობთ ინფორმაციას ძალადობის თაობაზე, გთხოვთ, 24 საათის განმავლობაში დარეკოთ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერზე: +99532116006 ან 112.

# წარსულის ტექნოლოგიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სტამბოლის გასაოცარი მიწისქვეშა წყალსაცავები

სტამბოლის მიწისქვეშეთში არსებული წყალსაცავი ცისტერნები უზარმაზარი სივრცეა კოლონებითა და რომლებიც ბიზანტიის იმპერიის დროს არის შექმნილი კონსტანტინეპოლში. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია.

მიწისქვეშა წყალსაცავებიდან ყველაზე ცნობილია ცისტერნა ბაზილიკა, რომელიც აია სოფიას ტაძრის მახლობლად მდებარეობს. მის ჭერს ამაგრებს 8 მეტრი სიმაღლის 336 კოლონა, ხოლო კედლები, რომელთა სისქე 4 მ-ია, დამზადებულია ცეცხლგამძლე აგურისგან და დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ხსნარით. საინტერესოა, რომ ეს კოლონები გადმოტანილია უძველესი დანგრეული ტაძრებიდან.

### ძველი დროის ციმბირელი ქირურგების ინსტრუმენტები

სულ ცოტა ხნის წინათ ნოვოსიბირსკელმა არქეოლოგებმა



დაადგინეს, რომ სამხრეთ ციმბირის ტერიტორიაზე 2,5 ათასი წლის წინათ ქირურგები ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ, მათ შორის, თავის ქალის ტრეპანაციასაც. ამასთან, მათ ჰქონდათ ინსტრუმენტები, რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მეცნიერების თქმით, ჩვ.წ. ალმ-დე პირველი ათასწლეულის ბოლოსთვის ქირურგების არსენალში იყო ძვლის საჭრელი დანა, ხერხები, მჭრელი ინსტრუმენტები, სამედიცინო ზონდები და თანამედროვე სკალპელის ანალოგი — ლანცეტი. ასეთივე ინსტრუმენტებით სარგებლობდნენ ევროპაშიც. ერთადერთი გამონაკლისია ხერხები, რომლებიც იმდროინდელ ევროპაში არ გამოიყენებოდა.

### სპილენძისგან – ოქრო

ბევრი მკვლევარის აზრით, უძველესმა ქურუმებმა იცოდნენ სპილენძისგან ხელოვნური ოქროს მირების საიდუმლო. მაგრამ ოქროს ჭარბ რაოდენობას შეეძლო ქვეყნებისა და იმპერიების ეკონომიკების დანგრევა და ამიტომ ამ საიდუმლოს ყველანაირად მალავდნენ. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ 296 წელს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც უნდა გაენადგურებინათ ყველა ხელნაწერი ოქროს მიღების შესახებ. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მიზნით გაანადგურეს ალექსანდრიისა და კართაგენის ბიბლიოთეკები. საინტერესოა, რომ ეს ცოდნა უძველესი დროიდან შეიძლება მოდიოდეს. ითვლება, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია ჩვ.წ. 5 ათასი წლით ადრე იღებს სათავეს. თუმცა, მრავალი წყარო მიუთითებს იმაზე, რომ ამ დრომდე დიდი ხნით ადრე ეგვიპტის ტერიოტორიაზე უკვე არსებობდა მაღალგანვითარებული ცივილიზაცია. ცნობილი ფილოსოფოსი და მეცნიერი დიოგენე ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელები ასტრონომიულ დაკვირვებებს ალექსანდრე მაკედონელის დაბადებამდე 49 ათასი წლით ადრე აწარმოებდნენ, რომელიც ჩვენს ერამდე 356 წელს დაიბადა. ბერძენი ფილოსოფოსი სიმპილიუსი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, წერდა, რომ ეგვიპტელები კოსმოსს 630 წლის განმავლობაში შეისწავლიდნენ!

### პანოიაშის განსაწმენდელი

პანოიაშის უძველესი განსაწმენდელი პორტუგალიაში მდებარეობს. იგი სამი უზარმაზარი მეგალითისგან შედგება, რომელთა ზედაპირზეც სხვადასხვა იდუმალი ღრმულები და ნაჭდევებია...

ერთ-ერთ ქვაზე ამოტვიფრულია ნაწერები ლათინურ და ბერძნულ ენებზე და აღწერილია ის რიტუალები, რომლებიც აქ ტარდებოდა. ნაწერების დანახვისას ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს ისინი მოგვიანებით, რომის ბატონობის პერიოდშია გაკეთებული.

ცნობილია, რომ განსაწმენდელი ჩვენი ერის დასაწყისში არსებობდა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის სხვა, ტექნიკური საჭიროებებისთვის გამოიყენებოდა. შესაძლოა, ეს უძველესი ქარხნის ან ნაგებობის ნარჩენები იყოს. ამოუცნობი მარტო ამ ფიგურების დანიშნულება კი არ არის, არამედ ისიც, თუ როგორ არის დამზადებული ყველა წვრილმანი — ხარისხიანად და დეტალურად, ყოველივე ამის გაკეთება პრიმიტიული ინსტრუმენტებით ხომ შეუძლებელია...



### ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავი

წყალქვეშა ფლოტის შესახებ ყველა წიგნი თუ სტატია იმისი თხრობით იწყება, როგორ ჩაყვინთა პირველად წყალქვეშ (მაშინდელი შესაბამისი მოწყობილობით) ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც ჩვენს ერამდე IV ს-ში ცხოვრობდა. ამ წიგნებისა და პუბლიკაციების ავტორები ეყრდნობიან შუა საუკუნეების ნახატებს, რომლებზეც ეს პროცესია გამოსახული. გარდა ამისა, უძველესი ლეგენდების თანახმად, ქალაქ ტროაზე (ლიბანი) შეტევის განხორციელების დროს, ჩვ.წ. ალმ-დე 332 წელს, მაკედონელის ჯარისკაცები წყლიდან უტევდნენ მოწინაამდეგეს — ისინი შუშის სათავსოებით ამოდიოდნენ წყლიდან.

XIII ს-ში მცხოვრები ფრანცისკანელი ბერის როჯერ ბეკონის ნაკლებად ცნობილ ხელნაწერშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ წყალქვეშ მოგზაურობისას არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანს შეუძლია ფსკერამდე მიღწევა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამ ინსტრუმენტებს, მათ შორის, წყალქვეშა ნავებს, იყენებდა ალექსანდრე მაკედონელი წყალქვეშა სივრცეების შესასწავლად. მითებმა და ლეგენდებმა მათ შესახებ შუა საუკუნეებამდე მოაღწია, მაგრამ იმ დროისთვის უკვე დაკარგული იყო ტექნოლოგიები და შესაბამისი ცოდნა, ამიტომ იმ დროის მხატვრები და მწერლები ლეგენდებს უკვე მათი დროის შესაბამისი ცოდნის საფუძველზე გადმოგვცემდნენ.





### ატლანტიდის საჰაერო ხომალდები

ნათელმხილველ ედგარ კეისის ხილვების თანახმად, ატლანტიდელებს ჰქონდათ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აეროპლანებს უწოდებდნენ, იმ დროისთვის კი საჰაერო ხომალდებს. თუმცა, ამ საჰაერო ხომალდებს არა მხოლოდ ჰაერით შეეძლოთ გადაადგილება. კეისი ამბობდა იმასაც, რომ ატლანტიდაში სატრანსპორტო საშუალებებისთვის ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროენერგია, არსებობდა დისტანციური ფოტოგრაფირება, შეეძლოთ ტექსტების კითხვა არა მარტო დისტანციურად, არამედ კედლის იქითაც და დაძლეული იყო გრავიტაცია.

### ბერძნული ცეცხლი – იდუმალი იარაღი

ბერძნული ცეცხლი — იდუმალი იარაღია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე არსებობდა, მაგრამ რომლის რეცეპტიც დაიკარგა. თუმცა, ცნობილია, რომ ის ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეებში ციხესიმაგრეებისა და გემების გასანადგურებლად. ეს ცეცხლი მოედინებოდა მილებიდან ან სიფონებიდან და, როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ძალიან დიდი სისწრაფით.

აი, რას ამბობდა ამ ცეცხლის შესახებ ბიზანტიის იმპერატორი ბრძენი ლევი IX ს-ში: „ჩვენ სხვადასხვა საშუალებებს ვფლობთ მტრის დასამარცხებლად. გვაქვს ცეცხლი, რომელიც სიფონებიდან გამოდის და უძლიერესი ხმაურით ანადგურებს ყველაფერს, რისკენაც მივმართავთ მას...“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99